

რამდენი ტონა კონტრაცეპტივი შემოდის ყოველწლიურად საქართველოში?



2018 წლის დასაწყისიდან საქართველოში 430 579.1 დარის კონტრაცეპტივები შემოვიდა. კონტრაცეპტივების იმპორტით პირველ ადგილზე რუსეთია.

რუსეთიდან საქართველოში **1 012,8** კილოგრამი კონტრაცეპტივის იმპორტი განხორციელდა, რომლის ღირებულებაც 223 920.5 დარი იყო. ამის შესახებ ინფორმაციას allnews.ge შემოსავლების სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

კონტრაცეპტივების იმპორტიორთა შორის მეორე ადგილზე გერმანიაა – 2018 წლის იანვარ-აპრილში 1 136 კგ კონტრაცეპტივი შემოვიდა, ჯამური ღირებულებით 62 000.5 დარი.

მესამე ადგილი – თურქეთი, საიდანაც 43 811.1 დარის ღირებულების 167 კგ. კონტრაცეპტივი შემოვიდა.

მეოთხე ადგილი – იტალია, საიდანაც 28 300.5 დარის 692 კგ კონტრაცეპტივები შემოვიდა.

კონტრაცეპტივები საქართველოში შემოდის უკრაინიდანაც – 21 490.4 დარის 263.3 კილოგრამი კონტრაცეპტივის იმპორტირდა.

20 447.3 დარის 235.3 კილოგრამი კონტრაცეპტივი შემოვიდა რატვიიდან.

შეგახსენებთ, რომ 2017 წელს საქართველოში 32 ტონა პრეზერვატივის იმპორტი განხორციელდა.

